მომსახურების ხელშეკრულება #17

ქ. ლაგოდეხი 17 მარტი 2022 წელი

ერთი მხრივ ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება შემდგომში ,,დამკვეთი" წარმომადგენელი მისი დირექტორის თამარ ბაღაშვილის სახით და მეორე მხრივ ი.მ სერგო სიმონიანცი პირადი N-25001046084 შემდგომში ,,შემსრულებელი" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. 1 წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, შემსრულებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს დამკვეთს მომსახურება, კეროდ სოფელ ლელიანის #2 საბავშვო ბაღში ნარჩენებსა და ნაგავთან დაკავშირებული მომსახურებები(კოდი 90500000), მომსახურებები დაბინძურებული სითხეების გაწმენდისა და გატანის სფეროში (კოდი 90513500) კერძოდ საკანალიზაციო ჭის ამოსუფთავება

ხოლო დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მომსახურების საფასური ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობების შესაბამისად.

2. მომსახურების გაწევის წესი

2.1 შემსრულებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს უშუალოდ.
2.2 მომსახურების გაწევისას, მისი ყველა ან რომელიმე ვალდებულების მესამე პირზე გადაკისრება შემსრულებელს შეუძლია მხოლოდ დამკვეთის თანხმობით.
2.3 შემსრულებელი ვალდებულია მომსახურება გაუწიოს მიმდინარე წლის 20 მარტის ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადაა არის 2022 წლის 25 აპრილის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 200 (ორასი) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით, საქართველოს ეროვნული ვალუტით. შესრულებული სამუშაო გაფორმდება მიღება ჩაბარების აქტით.

4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

შემსრულებელი ვალდებულია:
4.1 შეასრულოს მომსახურება ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, სრული მოცულობით ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

5. დამკვეთი ვალდებულია:

5.1 არ განახორციელოს ქმედება, რაც ხელს შეუშლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას.
5.2 გადაიხადოს მომსახურების საფასური ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და წესით;

6. დამკვეთს უფლება აქვს:

6.1. ნებისმიერ დროს შეამოწმოს „შემსრულებლის“ მიერ შესასრულებელი სამუშაო.

7. მხარეთაპასუხისმგებლობა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისა და არასათანადოდ შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
7.2 იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელმა არ განახორციელა მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, შემსრულებელს დაეკისრება პირგასამტეხელო შესაბამისი სამუშაოს ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8. ფორს–მაჟორი

8.1 მხარეებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებისათვის თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჯორულ ვითარებაში.
8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული დამკვეთის ან/და შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინებაასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9.დავა

9.1 მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდებაურთიერთშეთანხმებით.
9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილაცს სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესბამისად.

10. სხვა დებულებებები

10.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ წერილობითი სახით, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
10.2 მხარეები ვალდებუნლი არიან წერილობითი ფორმით აცნობონ ერთმანეთს ცვლილებების შესახებ, იმ შემთხვევაში , თუ რომელიმე მხარემ არ აცნობა მეორე მხარეს ამგვარი ცვლილებების შესახებ, იგი პასუხისმგებელია ამგვარი ქმედებით გამოწვეული ზიანისათვის.
10.3 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი)თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი

11.1 ხელშერკულების შეწყვეტა დაუყოვნებლივ შესაძლებელია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით თუ: მეორე მხარე უხეშად ან არაერთგზის არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
11.2 ხელშეკრულების შეწყვეტა ვადამდე შესაძლებელია მხარეთა შორის ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12. მხარეთა რეკვიზიტები

,,დამკვეთი''

ა.ა.ი.პ.ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება.

ქ.ლაგოდეხი 26 მაისის ქ.#23

ბანკის რეკვიზიტები:

სახელმწიფო ხაზინა

კოდი TRESGE22

საიდენ.კოდი: 233146798

ანგ# GE24NB0330100200165022

დირექტორი: თამარი ბაღაშვილი

Union of Preschools of Lagodekhi Municipality

Digitally signed by Union of Preschools of Lagodekhi Municipality
Date: 2022.03.17 10:57:15 +04'00'

" შემსრულებელი"

ი.მ. ,,სერგო სიმონიანცი“ პ.ნ. 25001046084

ქ.ლაგოდეხი. სოფ. გელათი

ბანკის რეკვიზიტები:

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი: TBGBGE22

ანგ# GE77TB7480745061100100

ი.მ. ,,სერგო სიმონიანცი“

Sergo Simoniantsi

Digitally signed by Sergo Simoniantsi
Date: 2022.03.17 10:46:02 +04'00'